Dualistisches Beteiligungssystem

Bei der Begehung einer Straftat durch mehrere Personen unterscheiden sowohl das **georgische** als auch das **deutsche Strafrecht** zwischen Täterschaft und Teilnahme. Die Formen der Täterschaft sind identisch: Täter nach dem Art. 22 gStGB bzw. § 25 dStGB ist die Person, die eine Straftat unmittelbar selbst, mit anderen Personen gemeinschaftlich (Mittäter) oder mittels einer anderen Person (mittelbare Täterschaft) begangen hat, die nach dem Strafgesetzbuch wegen ihres Alters, Unzurechnungsfähigkeit oder wegen andere Umstände nicht zur strafrechtlichen Verantwortlichkeit gezogen wird (Werkzeug). Nebentäterschaft ist im gStGB und dStGB nicht ausdrücklich geregelt, jedoch in der Strafrechtstheorie allgemein anerkannt. Teilnehmer ist derjenige, der sich an einer fremden Straftat beteiligt. Bei dem Teilnehmer nach georgischem Strafrecht unterscheidet Art. 24 gStGB nach Organisator, Anstifter und Gehilfe, während das deutsche Strafrecht in §§ 26, 27 dStGB nur den Anstifter und Gehilfen kennt. Für die Beihilfe schreibt das deutsche Strafrecht, anders, als das georgische Strafrecht, eine obligatorische Strafmilderung nach § 27 Abs. 2 S. 2 dStGB vor. Teilnehmer werden für die Beteiligung an einer fremden Straftat bestraft (dualistisches Beteiligungssystem). Fahrlässige Mittäterschaft und fahrlässige Beteiligung sind im gStGB und dStGB nicht vorgegeben, sie können jedoch in beiden Rechtssystemen als Fahrlässigkeitstaten erfasst werden, wenn sich das Verhalten als zurechenbarer Sorgfaltspflichtverstoß darstellt. Bei den Fahrlässigkeitstaten herrscht in beiden Ländern, ebenso wie bei den Ordnungswidrigkeiten (§ 14 Abs. 1 dOWiG, h.M. im georgischen Ordnungswidrigkeitsrecht), ein monistisches Beteiligungssystem vor, bei dem jeder Beteiligter als Täter anzusehen ist. (Esc/Kmt)

თანამონაწილეობის დუალისტური სისტემა

რამდენიმე პირის მიერ დანაშაულის ჩადენისას როგორც **ქართული**, ასევე **გერმანული სისხლის სამართალი** ერთმანეთისაგან განასხვავებს ამსრულებლობას და თანამონაწილეობას. ამსრულებლობის ფორმები იდენტურია: სსსკ-ის 22-ე მუხლის, შესაბამისად, გსსკ-ის 25-ე პარაგრაფის მიხედვით, ამსრულებელია პირი, რომელმაც დანაშაული უშუალოდ თავად, სხვასთან ერთად (თანაამსრულებლობა) ანდა სხვისი მეშვეობით (შუალობითი ამსრულებლობა) ჩაიდინა, რომელსაც სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ასაკის, შერაცხადობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (ცოცხალი იარაღი). პარალელური ამსრულებლობა სსსკ-სა და გსსკ-ში არაა პირდაპირ დარეგულირებული, მაგრამ სისხლის სამართლის თეორიაში საყოველთაოდაა აღიარებული. თანამონაწილე არის ის, ვინც სხვის დანაშაულში მონაწილეობს. თანამონაწილეობისას სსსკ-ის 24-ე მუხლი ერთმანეთისაგან განასხვავებს ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს, გსსკ-ის კი 26-ე და 27-ე პარაგრაფებში მხოლოდ წამქეზებელსა და დამხმარეს იცნობს. დახმარებისათვის გერმანული სისხლის სამართალი, განსხვავებით ქართულისაგან,

გსსკ-ის 27-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებით, სასჯელის სავალდებულო შემსუბუქებას ითვალისწინებს. თანამონაწილეები სხვის დანაშაულში მონაწილეობისათვის ისჯებიან (თანამონაწილეობის დუალისტური სისტემა). გაუფრთხილებელი თანაამსრულებლობა და გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა სსსკ-სა და გსსკ-ში არაა გათვალისწინებული, მაგრამ სამართლის ორივე სისტემაში შესაძლებელია მათი გაუფრთხილებელ ქმედებად კვალიფიკაცია, თუ ქცევა წინდახედულობის ნორმის შერაცხვად დარღვევას წარმოადგენს. გაუფრთხილებელი ქმედებებისას და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისას ორივე ქვეყანაში (გერმანიის ადმინისტრაციულ გადაცდომათა კოდექსის 14-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილი, გაბატონებული შეხედულება ქართულ ადმინისტრაციულ სამართალში) თანამონაწილეობის მონისტური სისტემაა გაბატონებული, რომლის თანახმადაც ყველა თანამონაწილე ამსრულებელია. (Esc/Kmt)